ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების

მედია მონიტორინგი

მედიის განვითარების ფონდი 2010 წლის 1 იანვრიდან ახორციელებს ქართულენოვან მედია-საშუალებებში ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხების გაშუქების მედია–მონიტორინგს. პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის "ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში" ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშოროისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.

მედია–მონიტორინგის ინტერესის სფეროშია პირველი არხის, რუსთავი 2-ის, იმედის, მაესტროსა და კავკასიის საინფორმაციო გამოშვებები. ასევე გაზეთები: "24 საათი", "რეზონანსი", "ახალი თაობა", "ალია", "ასავალ დასავალი", "კვირის პალიტრა", ჯორჯიან თაიმსი". ასევე რეგიონული პრესა: "პს", ახალი გაზეთი" (ქუთაისი) "სამხრეთის კარიბჭე" (ახალციხე), "კახეთის ხმა" (კახეთი), "თავისუფალი სიტყვა" (ქართლი), ბათუმელები (აჭარა), "ღია ბოქლომი" (სამეგრელო), "გურია ნიუსი" (გურია).

მონიტორინგი ხდება როგორც რაოდენობრივი, ისე – თვისობრივი კუთხით.

რაოდენობრივი მონიტორინგის მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად აქტიურად აშუქებს საქართველოში მედია ქვეყანაში რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობების თემატიკას. თვისობრივი კვლევის მიზანია გამოავლინოს მედია-საშუალებების მიერ უმცირესობების საკითხების გაშუქების საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის ფაქტები. კერძოდ – დისკრიმინაციის და სტერეოტიპიზაციის შემთხვევები.

იმისათვის, რომ პროექტი ეფეტური და შედეგიანი იყოს, ფონდის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგები, მოკვლეული მასალა, ტიპური შეცდომების მაგალითები მონიტორინგის განხორციელების ეტაპზევე – ყოველკვირეულად გავავრცელოთ მედიის წარმომადგენლების მაილ ლისტებზე და შევთავაზოთ მათ, რომ ეს შეცდომები გაითვალისწინონ ყოველდღიურ საქმიანობაში.

ამ მიზნით ფონდის მიერ შედგენილი მაილ-ლისტის მიხედვით (რომელშიც შევიყვანეთ მოქმედი ჟურნალისტების ჩვენს მიერ მოძიებული ელექტრონული მისამართები) ბიულეტენები სამი თვის მანძილზე ყოველკვირეულად დაეგზავნება მედიის წარმომადგენლებს.

ბიულეტენში მოყვანილი კონკრეტული მაგალითები ემსახურება არა კონკრეტული მედია-საშუალებების კრიტიკას, არამედ – კონკრეტული დარღვევებისა და სტერეოტიპული გაშუქების ფაქტების იდენტიფიცირებას და მსგავსი ფაქტების გამეორების პრევენციას.

ბიულეტენი № 1

2009 წლის 29 დეკემბერი – 2010 წლის 15 იანვარი
ეთნიკური/რელიგიური უმცირესობების გაშუქება

<u>რაოდენობრივი კვლევა</u>
<u>მედია საშუალებებში</u> – (7 საერთო–სახელმწიფოებრივი, 8 რეგიონული გაზეთი, 5 ტელევიზია) ეთნიკური უმცირესობების გაშუქების წილი მცირეა. კერძოდ: 2009 წლის 29 დეკემბრიდან 2010 წლის 15 იანვრამდე ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების გაშუქების სულ შვიდი ფაქტია მოკვლეული (ერთი – სიუჟეტი, ექვსი – სტატია);
უმცირესობების საკითხები უფრო ხშირად ბეჭდურ მედიაში შუქდება, ვიდრე სამაუწყებლოში.
საანალიზო პერიოდში უმცირესობების თემატიკა გაშუქდა მხოლოდ (გაზეთები – 2009 წლის 29 დეკემბრიდან 2010 წლის 15 იანვრამდე, ტელევიზია – 2010 წლის 5 იანვრიდან – 15 იანვრამდე) სტატიაში (3 გაზეთი), აქედან მხოლოდ ერთი იყო პოზიტიური, დანარჩენი 4 კი ნეგატიური. ერთ ერთი ნეგატიური სტატია მოიცავდა ნეიტრალურ კომენტარსაც. ამიტომ ერთი სტატია ორ კატეგორიაში მოხვდა და რაოდენობრივად ორი ერთეული შეადგინა. - უნდა აღინიშნოს, რომ სამაუწყებლო მედიასთან შედარებით, ბეჭდურ მედიაში უფრო ხშირად გვხვდება ქსენოფობიური თუ დისკრიმინაციულ გამონათქვამები, სადაც გამოხატულია პირადი ნეგატიური მოსაზრებები, შეფასებები და დამოკიდებულება. მაგალითად თუ მონიტორინგის პერიოდში (29 დეკემბერი, 2009 – 15 იანვარი, 2010) სამაუწყებლო მედიაში (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებები) სულ ერთი დარღვევა იქნა აღმოჩენილი, ბეჭდვით მედიაში ნეგატიური გაშუქების ოთხი ფაქტი გვხვდება.

<u>თვისობრივი კვლევა</u>

თვისობრივი კვლევის შედეგად გამოვლენილ იქნა მედია–საშუალებების მიერ შემდეგი სტანდარტების დარღვევის ფაქტები:

<u>დისკრიმინაცია ეთნიკური ნიშნით:</u>

1. 2010 წლის 5 იანვარს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 21:00 საათიან „კურიერში“ გავიდა სიუჟეტი, რომელშიც მოთხრობილი იყო ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის შესახებ. ჰამლეტ გაჯიევმა საკუთარ სახლში დანით მოკლა მძახალი კახა მახარობლიშვილი (იხილეთ ჩანართი - სიუჟეტის სტენოგრაფიული ჩანაწერი).

> მკვლელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე. მძახალმა მძახალი იმსხვერპლა. ჰამლეტ გაჯიევმა კახა მახარობლიშვილი, ეჭვიანობის ნიადაგზე საკუთარ სახლში დანით მოკლა. გაჯიევის მტკიცებით გარდაცვლილს მის ცოლთან სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა. მკვლელობა ახალი წლის წინა დღეს 30 დეკემბერს მოხდა.
> როცა კახა მახარობლიშვილი საავადმყოფოში მიიყვანეს ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ჭრილობები, რომლებიც კახა მახარობლიშვილს გულ-მკერდის

არეში მიაყენეს, სიცოცხლესთან შეუთავსებელი აღმოჩნდა. მკვლელობა ვარკეთილში, გარდაცვლილის მძახლის ჰამლეტ გაჯიევის სახლში, დილის 10 საათზე მოხდა
რესპოდენტი - "გამოვედი გარეთ და პატრული იყო., მეტი არაფერი. პატრულმა გამოიძახა სასწრაფო, და იქ რაღაც არ ვიცი, რაღაცეებს აკეთებდნენ, უბრალოდ მერე წაიყვანეს ის კაცი. მეტი არაფერი არ ვიცი ვიცი, ვიცი რომ მემგონი კაცი დაჭრეს.
მკვლელობა ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე მოხდა, მიზეზი ეჭვიანობა იყო. ეჭვმიტანილის მტკიცებით მის ცოლსა და გარდაცვლილ მძახალს ერთმანეთთან რომანი ჰქონდათ. სწორედ ამის გამო 48 წლის ჰამლეტ გაჯიევმა, საკუთარ სახლში საქმის გასარჩევად მძახალი, შვილი და რძალი დაიბარა.
გაჯიევის კომენტარი: "მე შენთან ლაპარაკი მინდა მეთქი და საქმე გავარკვიოთ მეთქი. მე შენ რა უნდა გელაპარაკო შენ ვაფშეო ვინა ხარო, ისო ფეხზე რო ვიდექი დამარტყა, დავეცი, დავავლე ამ დანას ხელი შესაშინებლად. ის კიდე პაპუტი, რომ მორბოდა თუ რაღაც რომ შემოვარდა ინერციით თუ რითი წამოვიდა და ხელში ვიგრძენი რო შევურჭე"
მძახლებს შორის სასიყვარულო ისტორია, ეჭვმიტანილის მტკიცებით დიდი ხნის წინ დაიწყო.
გაჯიევის კომენტარი: „დროთა განმავლობაში ვიგრძენი, რომ ჩემი ცოლის მხრიდან, უყურადღებობა ვიგრძენი ჩემს მიმართ. ნუ კითხვაზე თუ რა ხდება მანანა, რატო შეიცვალე ჩემდამი განწყობა, რატო შეგეცვალა? ის მპასუხობდა, რომ არაფერია ვიღლები".
მეზობლის კომენტარი: "ისე უყვარდათ ერთმანეთი, ძალიან ტკბილი და კარგი ხალხი. სხვათა შორის მით უმეტეს აზერბაიჯანელები არიან და ესე კარგად ვიყავით ერთმანეთთან. კარგი ხალხი არიან ძალიან!"
ისტორიას, რომელსაც ეჭვმიტანილი აღიარებით ჩვენებაში ყვება, მეზობლების მსგავსად მოკლულის ოჯახის წევრებიც კატეგორიულად უარყოფენ. ისტორიის ცოცხალი გმირი, მანანა გაჯიევა კი უკანასკნელი 5 დღეა არავის უნახავს.
გარდაცვლილის ძმის, მანუჩარ მახარობლიშვილის კომენტარი: „ელემენტარულად ალბათ თავის გასასამართლებლად. რაღაც ხო უნდა თქვას რატო მოვკალი კაციო. საიდან მოიტანა რა ვიცი, პათოლოგიური სიმთვრალე აქვს და დეგენერატი იყო კიდე პირდაპირ გეუბნებით".
გამოძიება ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109 მუხლით არის დაწყებული. საქართველოს კანონმდებლობით დანაშაული 7 დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ერთი შეხედვით ზემოაღნიშნულ სიუჟეტში ამბავი ნეიტრალურად იყო გადმოცემული. თავად ჟურნალისტს მკვლელის ეთნიკური წარმომავლობა არ დაუკონკრეტებია; სიუჟეტში არც საავტორო ან სარედაქციო შეფასებები ან რაიმე შეურაცხმყოფელი განცხადებები ყოფილა. თუმცა ჟურნაილსტმა გამოიყენა მეზობლის კომენტარი, რომელიც დისკრიმინაციული ხასიათისაა და ეთნიკური ნიშნით განასხვავებს სიუჟეტის ობიექტს, აზერბაიჯანელების ზოგადად უარყოფით კონტექსტში მოხსენიების გზით: **„ისე უყვარდათ ერთმანეთი, ძალიან ტკბილი და კარგი ხალხი. სხვათა შორის მით უმეტეს აზერბაიჯანელები არიან და ესე კარგად ვიყავით ერთმანეთთან. კარგი ხალხი**

არიან ძალიან!“

მეზობლის ეს კომენტარი დისკრიმინაციული გაშუქების ტიპური მაგალითია. მეზობლის კომენტარის ეს ნაწილი არავითარ საზოგადოებრივ ინტერესს არ წარმოადგენს და მედია საშუალებას შეეძლო, არ გაეშუქებინა შეურაცხმყოფელი განცხადება, ან გაშუქების შემთხვევაში, აღენიშნა, რომ მსგავს განცხადებას ეთნიკურად აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეები შეურაცხმყოფელად აღიქვამენ.

<u>შეურაცხმყოფელი გამონათქვამები:</u>

1. 2010 წლის 6 იანვარს გაზეთ „ახალი თაობის“ (№3 (5079)) სტატიაში[1] „აფხაზებმა თავიანთი მომავალი უნდა განსაზღვრონ“ (ავტ. თეა მარხვაიძე) ვკითხულობთ: 1) **„ქართველთა საახალწლო მიმართვას აფხაზეთში დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია, შეიძლება იმიტომ, რომ ნაქეიფრები არიან და პახმელიაზე გამოსვლა ვერ მოასწრეს“**. ეს შეურაცხმყოფელი, გამონათქვამია, თანაც განზოგადებული და მთელი აფხაზი ხალხის მისამართით ნათქვამი. ავტორის ტონი დამცინავია, და ჩანს ირონიული დამოკიდებულება აფხაზი ხალხის მიმართ.

<u>განზოგადება</u>

1. „ახალი თაობის“ (№3 (5079)) იმავე სტატიაში **„არსებული მონაცემებით, დღეს სომხები აფხაზეთში უფრო მრავლად ცხოვრობენ, ვიდრე აფხაზები. აფხაზებისგან განსხვავებით, მათ ცხოვრება კარგად აიწყვეს, რაც აფხაზების უკმაყოფილებას იწვევს. ჩვენებური ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ადრე თუ გვიან აფხაზეთი სომხეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების საგანი გახდება“**. ამ ინფორმაციაში არ არის მითითებული წყარო, არ არის მონაცემები, რომელიც დაადასტურებს, რომ სომეხი ეროვნების მოქალაქეები უფრო მრავლად ცხოვრობენ აფხაზეთში. სტატიაში ხდება სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ერთიან მონოლითურ ჯგუფებად წარმოჩენა და გადაუმოწმებელი ინფორმაციის საფუძველზე კეთდება ვარაუდი ორ ქვეყანას შორის (სომხეთი და რუსეთი) დაპირისპირების შესახებ.

<u>4. უმცირესობა, როგორც ობიექტი და არა სუბიექტი</u>

1. სომხების მიმართ ქსენოფობიური განწყობის მაგალითია 2010 წლის 14 იანვარს გაზეთ „ახალი თაობის“ (№10) სტატიაში „სასულიერო პირების მიერ აღკვეთილი დანაშაული“ აღწერილი ინციდენტი: „დანაშაული ბოლნისის რაიონის სოფელ წუღრუღაშენის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა, სადაც ეკლესიის მოძღვარი და მორჩილები თივას აგროვებდნენ და ახარისხებდნენ. ამ დროს ნასვამ მდგომარეობაში მყოფი ძმები ჟ. ხ. და რ. ხ. ავტომანქანით მიუახოვდნენ მათ და მოსთხოვეს სასწრაფოდ დაეტოვებინათ ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, იმ მოტივით, რომ ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია იყო სომეხი ერის საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი საეკლესიო პირები არ შეასრულებდნენ მათ მოთხოვნას, ძმები მათ იქ ყოფნის საშუალებას არ მისცემდნენ. მეტიც, სასულიერო პირების მხრიდან სიმშვიდისკენ მოწოდებამ <u>**დამნაშავეები**</u> კიდევ უფრო გააღიზიანა და უკვე მუქარის რეალურად

[1] მართალია ამ სტატიაში ორი შეურაცხმყოფელი გამონათქვამია, მაგრამ რაოდენობრივად ერთ სრტატიად ცაითვლება. რაოდენობრივი მიზნებისათვის დათვლა სტატიების მიხედვით ხდება და არა სტატიაში შესული შეურაცხმყოფელი გამონათქვამების რაოდენობის მიხედვით.

შესრულება სცადეს. ერთ-ერთმა მათგანმა-რ.ხ.-მ მანქანის საბარგულიდან რკინის ქანჩი ამოიღო და უცენზურო სიტყვებით ისევ დაუწყო ლანძღვა".
..... 20 წუთის შემდეგ ისინი კვლავ დაბრუნდნენ წუღრუდაშენის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიასთან. სოფელ ბოლნისიდან წამოღებული 16 კალიბრიანი სანადირო თოფიდან დაიწყო სროლა. მამა სერაფიმემ და მორჩილებმა თავდაცვის მიზნით იქვე მდგარ შენობას შეაფარეს თავი"....

აქ ქსენოფობიის ნიშნები იკვეთება. სტატიის ავტორი არც სახელებს და არც ეთნიკურ წარმომავლობას ასახელებს, მაგრამ აშკარაა, რომ გულისხმობს სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეებს, რომლებსაც **<u>დამნაშავეებად</u>** მოიხსენიებს, რითიც საკუთარ დამოკიდებულებას ავლენს გასაუქებელი მასალის მიმართ და არ გადმოსცემს კონფლიქტის არსს მეორე მხარის პოზიციიდან. მასალაში არ არის მითითებული ინფორმაციის წყარო და არ არის გადამოწმებული ინფორმაცია დამოუკიდებელ წყაროსთან. ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეები არიან ამ სტატიის ობიექტები და არა სუბიექტები, ხოლო ჟურნალისტი მხარედ გვევლინება და თავად ახდენს შეფასებას, ვინ არის დამნაშავე და ვინ მართალი.

2. სომხებისადმი ქსენოფობიური, დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი დამოკიდებულების აშკარა მაგალითია ციტატა სტატიიდან „სომხებს ქართულის სწავლა მოუწევთ", რომელიც გაზეთ „ჯორჯიან ტაიმსში" (14-21 იანვარი, 2010; №1 (567)) გამოქვეყნდა:

"მე არ მესმის, რა დაკარგა სომხეთმა ყარაბახსა და ჯავახეთში. მე მათ ვურჩევ, ჩამოყალიბდნენ ფლორიდაზე, კალიფორნიაზე, კრასნოდარის მხარეზე, მარსელზე, სადაც ისინი კომპაქტურად ცხოვრობენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სომხებს გამბედაობა არ ჰყოფნით, ამერიკას მოსთხოვონ მიწები, ან თუნდაც საფრანგეთსა და რუსეთს". – აცხადებს სტატიაში რესპოდენტი იოსებ ცინცაძე.

ასევე დისკრიმინაციული გაშუქების მაგალითია ციტატა ამავე სტატიიდან: "სომხებს ქართულის სწავლა მოუწევთ", რომელიც გაზეთ „ჯორჯიან ტაიმსში" (14-21 იანვარი, 2010; №1 (567)) გამოქვეყნდა:

"*ჯავახეთში სომხები რუსმა გენერალმა პასკევიჩმა გადაასახლა მე-19 საუკუნში, არავინ ამბობს, რომ ქართული მიწები სომხებმა დატოვონ, მაგრამ მათ ქართული აუცილებლად უნდა ისწავლონ, რადგან ექსკლუზიური უფლების მინიჭებას მათთვის არავინ აპირებს*". – ამბობს რესპოდენტი.

ჟურნაილსტი არ განმარტავს რესპოდენტის განცხადებების დისკრიმინაციულ კონტექსტს. მიწების საკუთრება არ განისაზღვრება ეთნიკური ნიშნით და ნებიემიერ მოქალაქეს, მიუხედავად მისი ეთნიკური წარმომავლობისა, თანასწორად შეუძლია ისარგებლოს საკუთრების უფლებით. სათაურიდან ჩანს, რომ ენის სწავლა სომეხი მოქალაქეებისთვის იძულებითი ზომაა, მაშინ როცა მასალიდან არ ჩანს თავად სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეების პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით და არც ის, თუ რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს ხელისუფლება სახელმწიფო ენის სწავლებას უმცირესობებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ მედიასაშუალებებში ხშირია აფხაზებისა და ოსების მოხსენიება მათი ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით. ქვეყანაში არსებული სპეციფიკური ვითარების გათვალისწინებით (აფხაზეთის და სამაჩაბლოს

კონფლიქტური რეგიონები), აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ეთნიკური კუთვნილების ნიშნით მოხსენიება არ მიიჩნევა დისკრიმინაციულად და მონიტორინგის მასალებში აისახება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოხსენიება ნეგატიური ან პოზიტიური ხასიათისაა. აფხაზების და ოსების ნეიტრალური მოხსენიები არ აისახება მონიტორინგში.

თბილისი, საქართველო, მედიის განვითარების ფონდი 2010

პროექტი ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) და ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის (EPF) პროგრამის "'ეროვნული ინტეგრაცია და ტოლერანტობა საქართველოში" ფარგლებში შეერთებული შტატების საერთაშოროისო განვითარების (USAID) სააგენტოს დაფინანსებით.